# უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა რუსეთის ნათლისღების დღესთან დაკავშირებით სადღესასწაულო პარაკლისი აღავლინა ვლადიმერის გორაკზე

2021 წლის 27 ივლისს, წმინდა მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის ხსნებისა და რუსეთის გაქრისტიანების 1033-ე წლის სადღესასწაულო მოვლენის წინა დღეს, კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ სადღესასწაულო პარაკლისი აღასრულა რუსთა განმანათლებლის ძეგლთან ვლადიმერის გორაკზე კიევში.

ღვთისმსახურებისას ლოცულობდნენ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები: ანტიოქიიდან, სერბეთიდან და ჩეხეთის მიწებიდან და სლოვაკეთიდან, ეპისკოპოსები, სასულიერო პირები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ეპარქიიდან, ათასობით მართლმადიდებელი მორწმუნე მთელი უკრაინიდან, ასევე მომლოცველები ჩერნიგორიიდან, საქართველოდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულა კიევის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მგალობელთა გუნდმა არქიმანდრიტ რომანის (პოდლუბნიაკი) ხელმძღვანელობით.

აღესრულა ღვთისადმი სამადლობელი ლოცვები ყველა იმ სიკეთისათვის, რაც უფალმა უკრაინის მიწას უბოძა, ასევე თხოვნითი ვედრება ეკლესიის განხეთქილებებისგან და უსიამოვნებებისგან დაცვისთვის, სიყვარულის გამრავლებისთვის, მშვიდობის შენარჩუნებისთვის და უკრაინის სახელმწიფოსთვის კეთილდღეობის მინიჭებისთვის.

ლოცვის დასრულების შემდეგ უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე სამწყსოს მიესალმა და დამრიგებლობითი ქადაგებით მიმართა.

„გულითადად გილოცავთ რუსეთის გაქრისტიანების დღეს – დღეს ჩვენი ხალხის სულიერად დაბადების დღეა! დაე, უფალი წმინდა მთავარ ვლადიმერის ლოცვებით შეგვეწიოს ჩვენ. დაე, უფალი თავისი უწმინდესი დედის ლოცვებით გვფარავდეს ყველა ჩვენგანს“, – აღნიშნა მეთაურმა.

ვლადიმერის გორაკზე ჩატარებული პარაკლისის შემდგომ სასულიერო პირებმა და მორწმუნეებმა ჯვრით მსვლელობა მოაწყვეს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატებთან და წმინდა მთავარ ვლადიმერის წმინდა ნაწილებთან ერთად კიევო-პეჩერის ლავრაში.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

*უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილების ცნობით*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87805/